



№ 24.—1914

ფ ა ს ი 10 კ.

ომი ჰაერში

ჰვირა, 17 აგვისტო.



ავიატორი როლანდ გარო.





1. გულ-ხელი ნუ დაგვიკრებია, შეაუფრა	1
2. პროვინციის თეატრის ავ-კარგი, ან. ფანტუჯიასი	2
3. ტანჯვა, მიწისშედიასა	2
4. დროული დაპირება, ს. და-ნისა	3
5. უფ. თავ. გ. მ. შარვაშიძის ლექსი	4
6. დუელი, გიუ დე-მოპასანისა, თარ. ქ-ისა	4
7. იქ! ი. ჭისაიშედიასა	7
8. ომი ჰაერში, იანქისა	8
9. თემბი, ლექსი ი. კნაშედიასა	9
10. რას უქადის ხელოვნებას მომავალი, ალ. წერეთელისა	10
11. კომპოზიტორ დ. არაყიშვილის შემოქმედება, გ. საყვარელიძისა	10
12. დედინაცვალი, ტრ. რამიშედიასა	12
13. ქართველ მწერალთა წერილები, (დასასრული) სოფ. მეგაღბლაშვილისა	14
14. ქართულ სახალხო თეატრი ისტორია, გ. ჯაბაურასა	16
15. წვრილი ამბები; შარყები სურათები; განცხადებანი	17

თბილისის ქართულ დრამატულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ მას განზრახული აქვს ოპერის ხელმძღვანელობა

სამხალხო პრაქტიკული სკოლის
ამიტომ იგი იწვევს ქალთა და ვაჟთა, რომელთაც ქართულ სკენაზე მუშაობის სურვილი აქვს, ჩაუწერნენ ამ თვიურ გამგეობის კონტრაქტში. ჩაუწერის ვალა დანიშნული განცხადების დღიდან პირველ სექტემბერამდე. სწავლა უფასო იქნება. პირობების გაგება შეიძლება კონტრაქტში დღისით 1—3 საათამდე.

წერილობითი განცხადება მისამართის ჩვენებით წარმოადგენილ უნდა იქნეს დოკუმენტურად.

შექსპირი ქართულად!

გამოცემა ივანე მაჩაბლის თარგმანებისა.

მიიღება ხელისმოწერა ივანე მაჩაბლის მიერ ნათარგმან შექსპირის რვა ტრადიციის გამოცემის ხელ: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი, იულიოს კეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კოროლიანოს და რიჩარდ მესამე.)—გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდე გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები.—ფასი ხელის მოწერით: 3 მან., შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა სამძიმოა,—მათთვის ხელისმოწერა განაწილებულია სამს ვადალ: პირველი შემოსატანი—1 მან., მეორე—პირველ ნომერს—1 მან. და მესამე—1 მან. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელისმოწერა მიიღება თბილისში: ქართვ. შორის წერაკითხვის საზოგადოების გამავრცელებელ მალაზიაში, და გამოცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგის ქუჩა, 52) და ქუთაისში მთავარი-წიგლისა და ოცხელის წიგნის მალაზიებში.

გამომცემელი კნ. ანასტასია ალექსანდრეს ასული მაჩაბლისა.



წლიურად 5 მ., ნაწევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება ქარ. ღრ. სახ. კანტორაში და „სორაპან“ სტამბაში. მისამართი: თიფლისი, გრუზინსკი Theatre, რედ. „Театри да Цховреба“ Иос. Имедашвили

№ 24

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. — ხელთნაწერები საპრობისამებრ შესწორდება. — რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება ქართ. თეატრის კანტორაში — დილით 9—2 ს., საღამოთი 6—8 ს., ტელეფონი რედაქციისა № 7-95, სტამბისა — 15-41.

№ 24

კ ვ ი რ ა 17 ა გ ვ ი ს ტ ო

1914 წ.

17 ა გ ვ ი ს ტ ო

გულ-ხელი რას დაგვიკრება? რასაც კაცი თავის თავს უხავს—ქვეყანა რო მიადგეს, ვერ უხავსო, ტყუილად კი არ არის ნათქვამი. ჩვენს თვალწინ მსოფლიო ტრაგედია გარდაიშალა, უდიდესი სახელმწიფოები ურთიერთს დაეტაკნენ თვითარსებობის გასამართლებლად.

ჩვენმა სამშობლომაც თავისი უძვირფასესი ნუგეში — ჯანღონით სახეს სოფლისა და ქალაქის მშრომელი ახალგაზღვრა — ბრძოლის ველზე გააგზავნა ქვეყნის საერთო მტრის წინააღმდეგ, სადაც იგინი თავგამოდებით იბრძოლებენ საერთო მამულის დასაცავად და ნუ თუ ჩვენ — სახლში დარჩენილთ — დღეს გულ-ხელის დაკრება გვმართებს? ერთხელ და სამუდამოდ უწყოდეთ ყოველთა, რომ „კოკას შაგან რატა სდგას, იგივე წაწმინდინდების“: თუ შინაგანი ავლადიებით, საკუთარ სულიერ-ნივთიერი მხრით ძლიერნი არა ვართ, ვერც გარედ მოვიპყით რასმეს... ამიტომაც შინ დარჩენილთ არ უნდა მოგვლოთ ადამის ძეთა სულიერად ამაღლებისათვის ზრუნვა, არ უნდა გავაციოთ ის კერა, რომლისა შიგან

მარადის კაცთა ტომის ამაღლება-დაწინაურებისა და საერთაშორისო სიყვარულის ცეცხლი ღვივის ..

გასულ კვირის ნომერში აღენიშნეთ, რომ მომავალ სეზონისათვის ამ თავითვე მხნედ უნდა მოვემზადნეთ და დროის შესაფერის რეპერტუარით შევიმუშაოთ-თქო. უკანასკნელ ხანებში-კი ისეთი მიტქმა-მოთქმა გავრცელდა, არა თუ მომზადება, თითქო მომავალ სეზონში წარმოდგენების მართვაზე ამ თავითვე ხელს იღებენ... თუ ეს ხმები გამართლდა, დიდი და მიუტყვევებელი ცრდვა იქნება. შე-მოსავალის მხრით მომავალი სეზონი შესაძლოა უფრო ნაყოფიერი იყოს, — ეს ერთის მხრით, ხოლო მეორეს მხრით — თეატრი, როგორც სახალხო ტრიბუნა სწორედ ახლა გვიჭირია საზოგადოების სულიერად გასამხნეველად..

ღრამატიულ საზოგადოებათა გამეგობათ ახლა ჰმართებთ მეტი სიფხიზლის გამოჩენა და შორსგამქვრეტელობა, ხოლო თუ დღევანდელ სათეატრო საქმეთა მესვეურნი — გამეგობანი და სხვანი — რაიმე მიზეზით სეზონს ვერ გაუძღვებიან, მაშინ თვით მსახიობთ ჰმართებთ ხელი მოჰკიდონ საქმეს..

პროვინსიის თეატრის ავ-პარკი

სათეატრო ხელოვნებამ შედარებით ჩქარა მოიპოვა ფართო ნიადაგი ჩვენს პროვინციებში. ძვირად მოიპოვება ჩვენში თვალსაჩინო დაბა ან სოფელი, სადაც ღრამატიული დასი ან წრე არ არსებობდეს; იშვიათია ისეთი სოფელი, სადაც წელიწადში ორ-სამჯერ არ გაიმართოს წარმოდგენა. ეს მოვლენა ჩვენს საზოგადოებას დიდ წინსვლელობად უნდა ჩათვადლოს, რადგანაც თეატრი უახლოესი გზა ხალხის შეგნება-გათვითცნობიერებისა.

ძველი დროიდან დაწყებული (მაგ. პერიკლისის ეპოქა — საბერძნეთში; ელისაბედის საუკუნე ინგლისში — შექსპირი) დღემდე ყოველ განათლებულ ქვეყანაში თეატრს დიდის პატივით ეკიდებიან, როგორც ხელოვნების ტაძარს და ჩვენს ქვეყანაში მისი ზრდა-განვითარება ყველასათვის სასიხარულო უნდა იყოს.

ღარწმუნებულნი ვართ, თუ ფხიზლად მოვიქცევით, ამ დარგში სხვა კულტურულ ქვეყნებს მალე დავწევით.

უკვე დამტკიცებულია, რომ ჩვენში თეატრის ისე არიან თანაურბრძნობს, როგორც დემოკრატია. ეს უკანასკნელი-კი უმეტესად პროვინციაშია მოკალათებული და თუ მისი მცირე ნაწილმა, ქალაქის დემოკრატიაში, უკვე ნათლად გვიჩვენა თავისი სათეატრო ხელოვნებისადმი მიდრეკილება-სიყვარული, რასაკვირველია, პროვინციის დემოკრატისაგან მეტს უნდა მოველოდეთ.

თეატრის პროვინციაში გაძლიერების უფრო დიდი მნიშვნელობა ექნება ქართველი ხალხისათვის, ვინემ ქალაქებში, რადგანაც უჩუეტესობა ჩვენი ხალხისა ცხოვრობს პროვინციაში და არა ორიოდ ქალაქში

ამისათვის ჩვენმა სათეატრო-სახოვადლო მოღვაწეებმა უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციონ პროვინციის სცენის ვითარებას.

ჩვენი პროვინციის თეატრს ბევრი ისეთი ნაკლი ახლავს, რომელთაც ადვილად შეუძლიან ჩააქონონ პროვინციელთა გულში აღზნებული სიყვარული თეატრისადმი. აქაურ დამწერთა უმეტესობა—გლეხობა—ყველაფერს თავისებური კრიტიკით ეკიდება და მცირე მიუტევებელი ცოდვა საქმარისია, რომ მისი თეატრისადმი სიმპატია ანტიპატიად იქცეს.

ვინ არ იცის, რომ ჩვენი თეატრი მხოლოდ ორ ადგილას — თბილისსა და ქუთაისში—არ განიცდის ისეთ საშინელ კრიზისს სათეატრო ძალა-ნივთებში, რომელთა უქონლობის წყალობით თითქმის ერთი წარმოდგენაც არ დაიდგმის. პროვინციის სცენაზე ისე, რომ მრავალი ნაკლი არ ახლდეს თან.

შესაფერი სცენის, სადგომის, რეკვიზიტის, დეკორაციების და სხვა მრავალ მისთანის უქონლობა,—აი საერთო ნაკლი ჩვენი პროვინციის თეატრებისა!

თუ გვსურს დაბა-სოფლებში ახლად ფეხადგმული სათეატრო საქმე დასაწყისშივე არ ჩაიშალოს, თავიდანვე უნდა მივაქციოთ ბევრითი ყურადღება და, რაც შეიძლება, მხატვრულ-ხელოვნურად მოწყობილი წარმოდგენები გავმართოთ ხოლმე, რომ თეატრმა თავისი მაღალი აღზრდულობითი დანიშნულება პირნათლად შეასრულოს.

ა.რ. ფანცულაია.

ტ ა ნ ჯ ვ ა

მე ტანჯვა-წვალებით მოვედი ამა ქვეყნად...

პირველი ჩემი ხმა—ტანჯვისაგან გამოწვეული ძახილი იყო... პირველად მე ტანჯვა შემხვდა და მას შემდეგ ის არ მომშორებია.

მე მეგონა, ის ხანდისხან მტოვებდა, მშორდებოდა—მაშინ ჩემთვის სდგებოდა ჟამი ბედნიერებისა, სიხარულისა, სიამოვნებისა, მაგრამ მე ვსტყუვდებოდი: ის ისევე ჩემთან იყო, მხოლოდ სხვა სახით მეჩვენებოდა. ვხედავდი, რომ ბედნიერება, სიამოვნება—იგივე ტანჯვა, იგივე წვალება...

მიდიოდა დრო, მე ვსცხოვრობდი და ვიტანჯებოდი, რადგან ტანჯვა ცხოვრება იყო და ცხოვრება კი — ტანჯვა...

მე განგებამ სიცოცხლე მომანიჭა... მე ის მიყვარს... ყველაფერზე უფრო მიყვარს... — და რა სიცოცხლე?..

— ტანჯვა...

და მე მიყვარს ეს ღვთაებრივი ტანჯვა, რომელსაც ვხედავ ბუნების ყოველ კუთხეში, მიყვარს... ვაღმერაუბ მას, და არასოდეს პირსა ჩემსა არ წამოსცდება:

— რისთვის ვწვალობ, რად ვიტანჯვი? რათა ამით მე სიცოცხლეს უარყუოდ და მაზე უკეთესი კი მე არა მაქვს რა...

— არა არს ბედნიერება, არამედ ტანჯვა, არ არიან ბედნიერნი, არამედ ტანჯულნი...


პირველად დამხვდა ის მე ცხოვრების კარებთან, პირველი ჩემი სუნთქვა, პირველი ჩემი ხმა ტანჯვისაგან გამოწვეული იყო...

იგივე მიძვეება მე ცხოვრების კარებამდე, ვით ერდგული მეგობარი...

ტანჯვაში აღმოხდებოდა უკანასკნელი ოხვრა, უკანასკნელი სიტყვა... და ის დაჩქება ჩემი ამ სოფლიდან გასვლის დროს... ის დამტოვებს მე... დამეკარგება... დამეკარგება ის, რაზე უკეთესიც არ მქონია არასოდეს, დამეკარგება ის, რისთვისაც მოველ ამა ქვეყნად..

— დამეკარგება სიცოცხლე—ტანჯვა!..

მიწისშვილი



დ რ ო უ ლ ი დ ა კ ი რ ე ბ ა

ან ეს რაღა ვსთქვი რაღა ვსთქვი.
თუ რაღა მინდოდა ვერა ვსთქვი.

მშენებრად ახსიათებს ეს ანდაზა აწინ-
დელს ჩვენს მდგომარეობას. მართლაც, განს
შესადკებულა რისამე ცხადთ, დანამდვი-
ლებით თქმა და განს მკითხაობას ანა ჭეხუც
ამ უმაღ იმისი ვარაუდი, თუ ვისი ბედი რე-
გორ გადაწყდება; ვის რას მოუტანს ეს სანუ-
დისწერო რამი, საბუდისწერო ანა ერთისა და
ორისათვის, ანამედ თათქმის მათელა გერთხი-
სათვის. არ ანის სსანამოფნო ეზომისის ენით
და აქარადუმით დანაზრეკი, მაგრამ კაცთა
წესია ჭირთა თქმა და აზრთა გაზიარება.

როგორც დევეშეები გადმოგვეტყვიან, დიდი
აღიეროვანება გამოწვევია ზოლონელთა შორის
უმად. მოვანსაზრდის მანიფესტს, რომელიც
მოუწოდებს ზოლონელთ ერთობისაკენ და ადუ-
თქვამს სრულს თვითმართვლობას. ამ ას-არ-
მოდინა-ათი წლის წინად მოხდა ასტორიული
უსამართლობა; საბუდისწერო და სსამიხელმა
გრიგელმა გდურბინა ზოლონელთა მამან და ძირს
დასტა მისი თავისუფლება, დამოუკიდებლობა,
დაჭეუწა იგი, როგორც მანიფესტი ამბობს, სსამ
ნაწილად და სხვა და სხვა სახელმწიფოში გა-
დასტორებნა თათყოელი ნაწილი... მამან ერთი
ნაწილი უთიფილი ზოლონეთისა რუსეთს ერგო
და სხვა იგი გერმანიელთა მდღემის სულქვეითი
შეიქმნა.

შედარებით ზატარა ერთა, როდესაც ჭეკარ-
ტავს დამოუკიდებლობას, როდესაც უფრო ძლიერ
იერი კისრულობს მის მესვეურობას, მის-
თვის მამან თათქმის ერთხიარად მავრებელია
და სსამიზირი მისი ბატონ-ზატარხის როგორც
დიდი კულტურა, აგრედვე იმისი უკულტურობა.
თუ ზატარა ერთი მოემწევევება კულტურისსა სა-
ხელმწიფოში, შეიძლება იგი ვერ ასწავდეს, ვერ
დაეწიოს იმის კულტურას, იმის ციფილიზა-
ციას, თანდათან მოადლება, მოაქანებნა მის
მადვენაში და ბოლოს დაჭეკარტავს თავის ერთე-
ნულს იგიზიონობას, ათქვიფება გაბატონებულ
კულტურის მსსსში. მაგრამ, არც თუ მამან
დაუურება სიკეთე ზატარა ერთს, თუ მის უკვე
სსამოდ განვითარებული ცხოვრება აქვს, რად-
განც მის თავისუფალს, ბუნებრივს ზრდა-

გზითაზრებას მისი ბატონი შურითა და ეტკვას
თვლით უუერებს და აფერხებს.

საომარი ძლიერება, ხიმტის სიმავრე აერ
კიდევ არ მოანწავებს რომელიმე სახელმწიფოს
კულტურის სიმადლეს, რადგანც სახელმწიფო
შეიძლება ძლიერა იყოს ან საორავლით და სი-
დიდით, ან გეოგრაფიული მდებარეობით და
მით უარესია და სსათვითა ზატარა ერთისათვის,
თუ მისი ბატონი ძლიერა, მაგრამ, შედარებით
ამ ძალდასთან კი უკულტურა, რადგანც იგი ამ
შემთხვევაში სცილილობს მისი სულქვეითი ერ-
მოსდროეოს, თუ იგი მსზე კულტურულია და,
შეორე მხრით, უფრო განათვლის, თუ დაბალ
ლობედ მისხნვია.

დანაწილებული და დაკუწული ზოლონეთი
კანინდიდა ეველა ამ კომპინენციათა სიმწავრეს
და მოელი მისი ეს საუკუნობობობი სიცოცხლე
გამუდამებული ბრძოლა იყო თავისუფლებისა-
თვის, სსკუთარი ერთეული სახის შეზარხუნე-
ბისათვის, რომელსაც ერთხიარის სიმაკდროთ
და დაქინებით ებრძოდნ, როგორც ავსტრია-
ჭუნგრეთში, აგრედვე გერმანიაში... ამიტომ,
რა თქმა უნდა, ზოლონელს არც ავსტრიაელი და
გერმანიელი უუერს და თუ საადანმე მას უკეთე-
ლობის და იმედის სხივი მიაშუქებდა, რასაკადრ-
ველია, მათ საერთოვლად თავს არ გადასდებდა
და აი, როდესაც ამ თავთავე ზოლონეთის ნია-
დაზო შეიქნა საქვეწიო რმის ტერატორიად,
უფრო სიფიქრებელია, რომ ზოლონელთა გულის
თქმა მის მონათესავე ერთს, რუსეთის მხარეს
იქნება, რადგანც, მართლაც, რსადავანთა მოდ-
მის თავისუფალ ერთა თათავან დარწივის
ფრთათა ქვემ გართობებია“ იდეალია მითთავი.
აი ამ გართობებებს, ამ თავისუფალ განვითარე-
ბის შესაძლებლობას ჭეხარდება რუსეთი საქვე-
წიოდ ზოლონეთს და რა განსკვირვულია მადლი-
ერმა ზოლონეთმა მშინაური უთანხმოება დაი-
ვიწიოს და რად რუსეთთან ერთად მშურად
სისხლი დაღვაროს!

რა დანამადია, და არც მადვდა ზოლონე-
თა, რომ რუსეთისადმი ცოტა რამ სამდურება
მასცა ჭეხინდა, მაგრამ თუ კი რუსეთის გაზარ-

უკუვებს მოჭევესა „თავისუფლებას ენისა, სარწმუნოებისა და ერთეულისა, თუ კი მას ასეთი ძმურის და სიყვარულის ერთი დაუღალაძრავებინ, მასინ მისთვისც ძვირფასი გზადებს ეს „საერთო სამშობლოა, რადგანაც აგი აქ იბრძოლებს უკვე თავის უჩინს, სარწმუნოებისა და ერთეუბანს“ თავისუფლებისათვის. ან კი რომელი ერთი არ აღიძვრება მადლობის გრძნობით, თუ კი უსრუწველ ჭეოფენ მისთვის იმ თავისუფლებას, რაც საფანტოა ჩვენს დროში უკვეა სსსიტოცხლო ძალით აღჭურველ ერისათვის!

სწორედ რომ დროული აღიქმა და დანერგება ეს რუსეთის მხრით, რადგანაც სხვა ერთა სსსიტობაც ფრთხას შდის, რადგანაც ამასთან ერთად მათ ესმით: ამას იქით რუსეთში არ არიან „ზოლოტენი, მალოროსნი, ლატიშნი, ქართაელები“, არამედ თავისუფლები წვენი დიდი რუსეთისა. შეიძლება ბევრგზით განცადან ზოლოტენთს ეჭვი გუფს უდრდნადეს, მაგრამ ის სომ მაინც დადმნიშვნელ ვანია, რომ ჭეარში გაისმის: pacta sunt servanda! (ზავი დადებულია).

ს. ლა — ნი

უგანათ. თავ. ვ. მ. შარვაშიძის ლექსი*

(*რჩხილ(რევი)ტ*)

შენ იცნობ, ძმაო, ქვეყნას ერსა,
სად მზე მარად-ჯამს ანათებს, ბრწყინავს?
სად მის სხეულსა, როგორც რომ დმერსა,
აღიღებს ერთი და მასედ ფიცავს?

რა შეღამდება, მუნ ვარსკვლავებია
იმ ქვეყნის ასულთ ეჯობებია,
და მათი შუქის მიგნა თვალებია
ამათ სხივებსა ეღარებია.

იქა მუხთლობა გაუტანელი
ისდის ბეგრას ბორატებისას,
იქ გულთა ძეგრს დაუცნობელი
ასრულებს მხოლოდ ვალსა ენებისას.

იქ სინდისის ცაურთ აღი
ცაუსა განსჯას სულ ჩაუქრია!
იქა მტუენდება მხოლოდ მართალია,
რომელსაც თავი ძირს დაუსრია.

იქ ისმის უღერს ბორკილებისა...
იქ კენესის სული, — არ ჭურბო განა?
ღირსია, ძმაო, შებრალებისა, —
ის სარბლია — სეში ქვეყნას.

უგანათ. თავ. ვ. მ. შარვაშიძე

Handwritten note in blue ink:
მ. შარვაშიძის ლექსი
151



გიო ლე-შავასანი (1850—93)

დ უ ე ლ ი

(საფრანგეთ-გერმანიის ომიდან)

გიო ლე-შავასანისა

გერმანელებმა დაიპყრეს საფრანგეთი, რომელიც თრთოდა, როგორც დამარცხებული მეომარი გამარჯვებულის ფეხქვეშ.

შემინებულ, მშვიერ და გრძობა დაკარგულ პარიზიდან პირველი მატარებლები დიძრა საზღვრებისაკენ ისინი ნელი ნაბიჯით მიიკლანებოდენ სოფლებისა და ქალაქების გასწვრივ. ჩაზარებები ფანჯრებიდან ხედავდენ ვადაბუგულ მინდვრებს და ვერანად ქვეულ მიდამოებს.

ზ-გიერთა გაღარჩენილ სახლის წინ ისხდნენ პრუსიელი ჯარის კაცები შავ სპილენძის

*) როგორც მკითხველთა მოხსენებათ, უგ. თავ. ვ. მ. შარვაშიძე 80-იან წლების ცნობილი მწერალია, აქვს რამდენიმე პიესა, ლექსები და სხ. ეს ლექსი დიდიხნის დაწერილია და თავ. შარვაშიძის სხვა ლექსებთან ერთად ერთმა მისმა ნათესავმა გადმოგვცა რედ.

წვეტან კასკებში და სწევდნენ თამბაქოს, სხვები მუშაობდნენ, ან ლანწლანდარობდნენ და შორიდან მაყურებელს მაყუდრო ოჯახს მოაგონებდნენ. ქალაქების მოედნებზე ვარჯიშობდნენ ჯარის კაცთა რაზმები და ხშირად, მიუხედავად ქალაქის უკვილ-ხივლისა, ისმოდა რაზმის უფროსთა ხრანწიანი ბრძანება.

ბატონი დიუბი, პარიზის ეროვნულ გვარდის წევრი, რომელიც ალყის დროს ნაკისრ მოვალეობას ასრულებდა, ახლა მიეჩქარებოდა თავის ცოლისა და ქალის დასახვედრად, რომელიც ომის დასაწყისში ყოველ ხიფათის ასადენად სახლგარეგარედ გაისტუმრა.

ვერც შიმშილი და ვერც მოუსვენრობა ვერ შეუძლირებს ღიპი ამ მშვიდობიან და მდიდარ ვაჭარს.

მან გადაიტანა ეროვნული უბედურება— შეკრიბი მის კმაყოფილ ცხოვრებაში, მორჩილებით და მწარე ჩივილით ადამიანის ველურებაზე. მხოლოდ ახლა, მიუხედავად იწინა, რომ ციხის დაცვის დროს შიზრად უცახცახნია კიდევაც დარაჯად მდგომს ცივ ღამეებში, მხოლოდ ახლა დაინახა პირველად პრუსიელები. შიშით და სევდით უყურებდა მტერს, რომელმაც დაიპყრა მისი სანუკარი საფრანგეთი. მის სულში იფეთქა მძლავრმა, მაგრამ დათურგენილმა მამულიშვილურმა გრძნობამ— და იმავე დროს იგრძნო საჭიროება სიფრთხილისა, იგრძნო ის, რასაც ყოველი ჩვენგანი განიცდის.

მასთან ერთად მოდიოდა ორი ინგლისელი, რომელნიც დინჯად ცნობისმოყვარეობით ათვალისწინებდნენ ვარჯიშს. ორივენი მალალი ტანისა და კარგა ჩასხმულები იყვნენ; ლაპარაკობდნენ თავის ენაზე და დროგამოშვებით ეძებდნენ ხოლმე გზის მაჩვენებელში იმ ქალაქებს, რომელთაც უახლოვდებოდა მატარებელი.

უტბად ერთს უწინშენილო ქალაქის სადგურზე მათ განყოფილებაში შემოვიდა პრუსიელი აფიცერი, რომელსაც ჩხარა-ჩხურით ხმალი მოსთარევა. მაღალ ტანის პატრონს, მუნდირში გამოწყობილს, ცეცხლივით წითელი თვა ჰქონდა, მთელი სახე ბალნით შემოსილი: მისი ქერა უღვაშები ორ თეთრ ხაზად სჭრიდნენ სახეს.

ინგლისელებმა მაშინვე დაუწყეს შინჯავა ცნობისმოყვარეობით. ბნი დიუბი კი თითქოს ძალიან დაინტერესებული გაზეოით, თვალს აღარ ამოკრებდა მის ფურცლებს. იგი მოკრუნჩხული იჯდა თავის კუთხეში, როგორც ქურდი ჟანდარმის წინაშე. მატარებელი დაიძრა. ინგლისელებმა განაგრძეს თავის ბასი—მერმე დაიწყეს ძებნა იმ ადგილებისა, სადაც ამ ცოტა ხანში ბძოლა იყო. და როცა ერთმა მეორეს დაანახვა ერთი პატარა კარგა გაშორებული სოფელი, პრუსიელმა აფიცერმა გასკიმა თავისი გველი ფეხები, შემოიყარა დონჯი და დამტყრეული ფრანგულით აუხსნა პათ:

— „ამ სოფელში მე თორმეტი ფრანგი მოვკალი; ხელთ ვიკადე ასზე მეტი ტყვე“.

ინგლისელებმა, რომელთაც აღეძრათ ცნობისმოყვარეობა, ჰკითხნენ:

— „Ahl. რა ჰქვიან მაგ სოფელს?“
პრუსიელმა უპასუხა: „ფარსბურლი“.
მერმე განაგრძო:

— „უყურით წვათირე ის არამზადა ფრანგები“.

ეს რო თქვა, ამაყად შეხედა ბ. დიუბის და აჩივინა თავის ქერა უღვაშებში.

მატარებელი მიდიოდა მტრის მიერ დაპყრობულ სოფლებზე. გერმანელი ჯარისკაცებით სავსე იყო ქუჩები, მინდვრები, დუქნების ეზოები. ისე მოსდებოდნენ დედამიწას, როგორც აფრიკის კალია.

აფიცერმა ასწია ხელი:

— „მე რო უფროსი ვიყო, პარიზს ავიღებდი, ყველაფერს დავეწმინდი და ყველას ამოვხოცავდი... საფრანგეთი აღარ არის“—

ზრდილობიან ინგლისელებმა მხოლოდ უპასუხეს:

— „Ahl, დიალ.“

პრუსიელი განაგრძობდა:

— „ოც წლის შემდეგ მთელი ევროპა სრულიად ჩვენ დავგრჩება—პრუსია ყველაზე დონიერი შექნება!“

ინგლისელებმა ერთგვარი უხერხულობა იგრძნეს და დაჩუმდნენ, მათი სახე აღარაფერს ამბობდა, ქანდაკებას დამსგავსნენ: პრუსიელი აფიცერი არა სცხრებოდა; იგი ხარხარით კვეხულობდა: დასცილიდა აოხრებულ საფრანგეთს,

შეურაცხოვდა დამარცხებულ მტერს, სიცილს აყრიდა რამდენიმე ხნის წინად დაცემულ ავსტრიას; დასცინოდა პროვინციების გამწარებულ თავ-დაცვას; დასცინოდა მოქმედ ჯარს, უსარგებლო არტილერიას. ბოლოს მან რიხიანად გამოაცხადა, რომ ბისმარკი აპირობს მტრის ზარბაზნებიდან რკინის ქალაქის აშენებას. და უცბად, კვენის დროს, წალა მოჰკრა დიუბის ფეხს, დიუბის სახეს აღმურმა გადაჰკრა. იგი მოტრიად და მოშორდა.

ინგლისელები ვერაფერს ხედავდნენ, თითქოს უდაბნო კუთხულზე დამწყვედულნი, მოწყვეტილნი იყვნენ ქვეყნიერებას.

აფიცრება ამიოლო ჩიბუხი და თვალების ჩაშტერებით ჰკითხა ფრანგს:

— თამაჰო არა გაქვით!

ბ. დიუბიმ უპასუხა:

— არა!

გერმანელმა უთხრა:

— გათხოვეთ, როცა მატარებელი გაჩერდება, თამაჰო მიყლით.

და კვლავ განაგრძო სიცილი:

— აუულს გაჩუქებთ!

მატარებელმა დაუშვტინა და ნახევრად დამწვარ დანგრეულ საღვურთან შეჩერდა...

გერმანელმა გააღო კარი, დიუბის ხელი მოაოლო და უთხრა

— აბა, წადით!.. ჰა, ჩქარა?

საღვურზე იდგა პრუსიელთა ჯარი. ორი ჯარის კაცი ხის მოაჯირთან ატუხულიყო, ხალხს ათვლიერებდა. მატარებელი უკვე გაუდგა გზას, როცა ბ. დიუბი, მიუხედავად საღვურის უფროსის ენერგიულ წინააღმდეგობისა, ახტა ბაქანაზე და მატარებლის სხვაგანყოფილებაში შევიდა.

იგი მარტო იყო, გული უცაცხაბებდა; გაიხსნა ჟღერტი და მოიწმინდა ოფლიანი შუბლი.

მატარებელი კვლავ გაჩერდა ახალ საღვურზე.

უცბად კარებში გამოჩნდა აფიცერი, ორი ინგლისელის თანხლებით, რომელთაც ცნობისმოყვარეობა მოსვენებას არ აძლევდა. გერმანელი ფრანგის პირდაპირ ჩამოჯდა და სიცილით ჰკითხა:

— თქვენ არა გსურთ ჩემი დავალება ასარულოთ? —

ბ. დიუბიმ უპასუხა:

— არა!

მატარებელი გაუდგა გზას.

აფიცრება კვლავ დიწყყო:

— „მაშ ულვაშს მოგპრით ჩიბუხის მოსაკიდებლად“.

და მან თავის მეზობლის სახლისკენ ხელი გაიშვირა.

ინგლისელები ისევე წარბ-შეურხევლად უყურებდნენ თამაშას.

აგერ თითქმის გერმანიელმა მოჰკიდა ულვაშს ხელი და ზევით აზიდა, როცა უცბათ ბ. დიუბიმ მძლავრად ხელი ჰკრა, საყლოში სწვდა და სკამზე დაანარცხა. მერმე, ამოდენა მოთმინებით გამწარებულმა, თვალეში სისხლ მოსულმა, ერთი ხელი ყელში წაუჭირა, მეორეთი კი ცემა დაუწყუო სახეში, გულში, თავში. — სცემდა გაყოფებული, საცა მოხვდებოდა.

პრუსიელი სცილოდა თავი დაეწვია — ამოელო ხმალი, მოეშორებინა თავის მოპირდაპირე, მაგრამ ბ. დიუბი ზედ აწვა მთელი თავისი სიმძიმითა და სცემდა უმოწყალოდ, დაუსვენებლივ, განურჩევლად, საცა კი მოხვდებოდა მუშტი.

პრუსიელს თავ-პირიდან სისხლი ჩამოსდიოდა. დასებული ყვიროდა, კბილებს აკრაქუნებდა, ცდილობდა მოეშორებინა მტერი, რომელიც თავს არ ანებებდა.

ინგლისელები მიუახლოვდნენ, რომ არაფერი გამოჰპაროდათ, რაცა ხდებოდა იმათ თვალ წინ. ისინი გაქიბულნი იდგნენ და კმაყოფილი ღიმილით შესცქეროდნენ თითქოს მხად იყვნენ სანაძლეო დაედოთ — ვინ ვის დაამარცხებდა!

ბოლოს, ბ. დიუბიმ, ხანგრძლივ ბრძოლით დაქანცულმა, თავი მიანება მოპირდაპირეს და თავის ადგილი დაიკავა ხმის ამოუღებლივ. პრუსიელი არ მივარდა, ისე იყო გაკვირებული ამ მულოდნელ შემოხვევით და ცემით გაბრუებული. როცა სული ცოტათი მოითქვა, უთხრა ფრანგს:

— თუ არ დამაკმაყოფილებთ, მოგკლამთ.

ბ. დიუბიმ უპასუხა:

— როგორც გნებავდეთ. მე მზათა ვარ.

გერმანელმა გამოუცხადა:

— ენლავ სტრასბურგში ჩავალით, მე ვიპოვი ორ აფიცრესა მოწვევ, მოვასწორებ მინამ მატარებელი იდგება.

ბ. დიუბი, რომელიც ქშინავდა როგორც ორთქლმავალი, მიუბრუნდა ინგლისელებს:

— „ინებებთ თუ არა მოწმედ წამომყევთ..“
ორივემ ერთად უპასუხეს:

— „Aoh, დილ!“

მატარებელი შედგა.

პრუსიელმა უმალ იშოვნა ორი მეგობარი, რომელთაც მოიტანეს დამბაჩები. ყველა-ნი საბაჟოსკენ გაეშურნენ.

ინგლისელები ყოველ წუთს შინჯავდნენ საათს, ჩქარობდნენ, ეშინოდათ მატარებელზე არ დაგვიგვიანდესო.

ბ. დიუბის თავის დღეში არ სჭეროდა დამბაჩა. მოპირდაპარენი ოც ნაბიჯის სიშორეზე დააყენეს და ჰკითხეს:

— „მზათა ხართ?“

— „დილ!“ უპასუხა ბ. დიუბიმ და ამავე დროს დაინახა, რომ ერთმა ინგლისელმა გაშალა ქოლგა მზისაგან დასაფარადად.

— „გაისროლეთ!“ გაისმა ხმა.

პირველი ინგლისელი წინ მიიჩქაროდა: ერთი, ორი, ერთი, ორი, და სამივე მიდიოდნენ მწყობრად, როგორც ჯარის კაცები, დაპიწყობოდნენ თავისი სისუქნე და მოუხეშაობა: სამივე საოხუნჯო ყურნალის სამხსნარო სურათსა ჰგავდა.

მატარებელი დაიძრა. ისინი ახტნენ მატარებელზე. თავ-თავიანთ ადგილზე რო დასხდნენ, ინგლისელებმა მოიხადეს თავის საგზაო ქულები, აისროლეს ჰაერში და სამჯერ შედი-ზედ დაიყვირეს:

— Hip! hip! hiy! (ვაშა! ვაშა! ვაშა!)

ამის შემდეგ დიდს ამბით ჩამოართვეს მარჯვენა ხელი ბ. დიუბის და თავ-თავის ადგილას დაბრუნდნენ.

თარგმანი ქ - ხა

0 ქ!

(ქღენად ბ. კობრიძეს)

იქ დუმლილია... იქ არ ისმის შენი ხმა, ნეტარი, ტუბილი... იქ მხოლოდ ზარების რეკვა აყრუებს ყურთ... ირგვლივ ნისლი სდგას... ირგვლივ გლოვა... კვლავ მაგონდები, კვლავ შენთან მოვილტვი, მაგრამ ვაღუფალი მთა... შენთან ვერ მოვალ... იტანჯვის სული... რად წახველ, რადა, რად მიმატოვე? გათენების ქამს ვზივარ მთის ძირად, სულ შენზე ვფიქრობ, სულ შენი სახე წამომიდგება. შენ არსად ჩანხარ... ოჰ, რა შეუბრალებელი გქონია გული!..

აი გათენდა... კვლავ ზარის ხმა... აღარ შეღირსა, ვეღარსად გპოვე. რა იქნებოდა, ჩემო იმედო, შენი ტუბილი ხმა კვლავ გამეგონა!.. მაგრამ ჰმ! . ყოველივე წუთიერი... რაც გუშინა სთქვი, აღარ გწამს!.. დე აგრე იყო, დე ოზლად მოგვედე..

არა, არა! კვლავ გამახსენდა, კვლავ გამახსენდა ტუბილი ხმა... მოდი, მოდი! ნუღარ გრცხვენია და დამადინე ცრემლი ნეტარი...

ი. ჯიხაიშელი



ბ. დიუბიმ გაისროლა ალალაბედით, მიზანში ამოუღებლივ. მერმე გულგახეთქილმა დაინახა, რომ მის პირდაპირ აყუდებული პრუსიელი შეინძრა, გაიქნია ხელები და გაქიმული პირქვე გაიშლარათა. მკვლარი იყო.

ერთმა ინგლისელმა დაიყვირა: „Aoh's“, გახარებულმა, ცნობისმოყვარეობა დაკმაყოფილებულმა, მეორემ, რომელსაც ხელში გახსნილი საათი ეკავა, წაავლო ბ. დიუბის ხელი და მატარებლისაკენ წაათრია ჩქარი ნაბიჯით.



ომი ჰაერში

დაიწყო საშინელი ომი. ევროპის სასელმ-
წიფონი ორ ბანაკად გაიყვნენ და ერთმანეთს
დაუჯახნენ. ორივე მხარე ყოველ ვაგონ სერსს სმა-
რობს მთბანდანიერ მტერი დასცეს, დაამხოს
და თვითონ გამარჯვოს. ამიტომ, გარდა იმისა,
რომ დედამიწასა და ზღვასზე ომობდენ და
ომობენ, ახლა ზღვის ქვეშა და ჰერშიაც დაიწვეს.

ვევლას სასელმწიფოთა შეიარაღებულია საკვა-
რველად მანქანებით, რამელთაც საღვთის ამოსა-
ვლელტად სმარობს. აი, მაგ. ამას წინად ფრანკთა
ავიატორმა, როლანდ გარრომ, ნემეტეობის ტეპელა-
ნის დირიჟაბლი დასწვა და მით შიგ მსხდომნიც
დაჭლუმა. მართალია, თვით გარროც დაიღუპა
იმ ტექსტში*), მაგრამ დიადი, თავემოდებული
მამული შვილობა გამოიხინა და თავის სასელი
უკაცუ ჰქმნა მსოფლიო ისტორიაში.

ეს ომი ჰაერში ასე ყოფილა: ტეპელანის
დირიჟაბლით, რომელშიაც რამდენიმე კაცი ეტე-
ვა და შეიარაღებულია ჰატარა სუმიუქი საზრბა-
სნებით, ტუვის მფრქვევლებით, ზროფექტორე-
ბით, ფოტოგრაფის ახზარტებით სემოდან ად-
გილების სურათების გადასაღებად და უმჯობე-
ლო ტელეგრაფით, გერმანიიდან საფრანკეთში
გადაფრენიდან მტრის დასაზვერად და როდესაც
საკვირო ცნობები შეუკრთვიათ, უკან დაბრუნება

დაუბარებიათ, ფრანკებს შეუშინევათ. მფრინავი
როლანდ გარრო მამხივე თავის ჰაქვია მონო-
ზღვანიო გამოსდგომია. გარროს მონობლანი სი-
კრძით სულ შედი ადლია იყო და საათში 120
კილომეტრს მიფრინავდა, ხოლო ტეპელანის
დირიჟაბლი-კი უზარ-მზარია სიფრენი მანქანა,
მონობლანზე 23—ჯერ უფრო გრძელი, და საათ-
ში 75 კილომეტრს მიფრინავდა. ამიტომ გარ-
რო მელ დავქია დირიჟაბლს და ასე მარდად
შემოურთადა გარს, რომ დირიჟაბლიდან ვერც
ნიშნში ამოღება მოასწერეს და ვერც სროლდა,
მერე გარრო მათურუნდა დირიჟაბლს და შიგ მუ-
ხში შეიპტა; დირიჟაბლის კანი გასქდა, ამოფარ-
და შიგ მომწვეველი მყავანდი, იფეთქეს ბენ-



ავიატორი როლანდ გარრო.



ტეპელანის დაღუპვა.

ზინის ჭურჭლებში და ერთი წუთიც არ გავი-
და, რომ მიეღეს დირიჟაბლს და მასში მსხდომი
ცნესლი წაქვიდათ და დედამიწისაკენ შურდული-
ვით წამოვიდნენ. (ის, სურათი).

გარრომ კარგად იცოდა, რომ არც თვითონ
გადრჩებობდა, მაგრამ თავისი თავისი შესწირა
საფრანკულ სამშობლოს და დიდი სიკეთეც გაუ-
წია მის არ მარტო იმით, რომ მტრის ათო-
დე ნასწავლი მეომარი დასწო და დაღუპა, არა-
მედ იმით, რომ ამ კაცებს თან მაჭქონდათ
ფრანკთა საჭირო და დიდმნიშვნელოვანი ცნობები
ფრანკთა შესასებ და ვევლას ეს ტექსტმა შთან-
თქა გარროს თავემოდებული ვაჟკაცობით.

გარროსთანა მფრინავი მამულიშვილნი საფე-
რანკეთში მრავალნი არიან; ბევრ მათგანს
სამხედრო მინისტრისთავის თსოვნა მიურთაქ-
ვიათ—მხადა ვაით ხვენი მონობლანებით მამულს
ვემსახურათ და თქვენს ბრძანებას ვეღლიათ.

ჰაერში ომი ასე დაიწყო და შემდეგში რა
იქნება, მომავალი გვიჩვენებს.

იანკო

*) როგორც ღებემა გდამოგვცა, როლანდ გარ-
რო უენებლად გადარჩენილა.



დრამატ. ი. გედევანიშვილი

...ჰმ!.. კიდევ ისეთი რა დაეწერო, რომ წელსაც შარშანდღოვით თეატრის კასნა გაიხსოს, მსახიობ-მსახურთ ჯამაგირები დროზე მიეცეს და მ. წულუკიძეს, გ. რობაქიძეს, ცაგარელსა და სხვა ლექტორთაც ლექციის მასალა მიეცეს... „სბორის“ გასაკეთებლად!



მომღ. ვანო სარაჯიშვილი

(ომში გაწვევის ჟამს ტირილით)
მშვიდობით, ჩემო სერთუკო!
„გენაცვალე, რად გამცვალე, ცოლდა არ ვარ, რომ“...
ვინ მე და ვინ ბრძოლის ველი?!



მსახ. ვალ. გუნია

ჰმ!.. ენახოთ, ენახოთ!..
მე კი ვიცი, რომ ახალი ლვინა ძველს ტიკტორაში არ ჩანსხმის...

თ მ ე ბ ე

(უძღვნი უცნობს № 13-ს)

სახსოვრად თეები გამომიგზავნე —
არ ვიცი, თუ რამ გაფიქრებინა:
იქნებ მოგწყინდა სიამპარტავენე
და ჩემთან გსურდა გეპოვნე ბინა?
იქნებ უცნობი დამასაჩუქრე
ძვირფას სახსოვარ-საგანძურითა?
იქნებ თილისმობ? ან დამემუქრე
და აღვსილი ხარ მტრობა-შურითა?
არ ვიცი, არა! არ ვიცი, არა!
ცუმზერდი შენს თმებს, ცუმზერდი შორით:
რომ არაფერი გამიზიარა —
თავლის სანთელზე დავწვი ამბორით.

წალღერი.

რას უკადის ხელმოწევაზე მოგზავალი

როგორც ვსთქვით (იხილეთ „თეატრი და ცნობარება“ № 22) აჩანს ისეთი მწერალი, რომელმაც ხელ აწერა დაქვეითების მისჯისად სახლს, დემოკრატის სოფლიან. სახლის მშრომელი ნაწილი თვის უფლებას აცხადებს ხელმოწევაზე და სურს მასი დამოფასებელი მსახური იყოს. რენისის სიტყვით, რაკი ხელმოწევა კუთვნილება აღარ იქნება რჩეულთა მტრე ჯგუფისა, იგი სრულიად მოიხიბობა. დემოკრატია შეუძლავს ხელმოწევის, რადგან ვერ ჩაწვდება მის სიდადეს და შეამოკლებს მის არსებობასა. ხოლო ნამდვილა დემოკრატია შორს ადის ხელმოწევის ეოველგვარ ვულგარისციასაგან; შირაქით დემოკრატის განვითარებასთან ერთად ვითარდება შემოქმედებისთვის ხელის შემწეობი შირობები, რომელთა შიქ შემოქმედება მისი ფრთას გაშლის, თავისუფლად შეჰქრავს კამარს და აღთქმულ ქვეყანისაკენ მიმავალ მშრომელთ წმინდა საჯადოებელს შეუთხზავს.

ტუგულად ფიქრობენ ოლიმპის წარმომადგენელი, თითქოს სახლს, დემოკრატის ეს იეტუ-

რი დღესაც და აღფრთოვანება აკლდეს. რა უკეთ, რომ ხალხს შეიძლება თვისი განსაკუთრებით სუფაერლი სიმღერები, სეროთად მუსიკა, ან რომანი და ლექსები ჰქონდეს: ეს კარგობებს სელოვანებისათვის სრულიად არ არის საშისო, რადგან ევოლუციის კანონი სასესებო მარადებას სელოვანების სიფერძინად ესთეტიური გემოვნებაც დღითა-დღე აზრდება და ვითარდება. მაშ გზა უნდა მივსრეთ ხალხს სელოვანების საპეფოსაკენ და ნუ ვინ იტყვის: „შუათანა ბიროვნება ჩაჰქლავს სელოვანებსა,“ რადგან სწორედ შუათანა ბიროვნებანი ამხადებენ იმ სულიერ სიმდიდრეს, რომელშიც შემდეგ ჰქონის წარმოადგენს, მდებარე ის აზრები, რომელიც რადან განსაკუთრებულ კლასობრივ სელოვანებს აღიარებს. ასეთი სელოვანება არ არსებობს. იგი ნყოფილია მხოლოდ ზოგიერთ ვიწრო მიმართულებას დოგმატურ აზროვნებისა.

დღეს თითქმის მთელი სკოლა არსებობს ეგრედწოდებულ ისტორიულ ზენიმიხისტებისა, რომელთაც აუცილებლად მიაჩნიათ მამუჯალში დემოკრატიის სრული გამარჯვება და შრომის სუფივას დამყარება, მაგრამ სწორედ ამაში სედავენ ივანი სელოვანების და ინტელიგენციის დამკვიდრებას. ეკონომიურ და პოლიტიკურ თანასწორობას თან მოჰყვება განებრივი გათანაწოლების მოთხოვნაც და მაშინ მცირე ტანების ჰეტრონიი გაბატონების დიდ ტონების ბიროვნებაზე და შუათანა ნაწიის შემოქმედნი სათავებში ჩაჰქლავენ სელოვანებს, რომელიც მხოლოდ ჰქნილის ბუმბეზობით სტრუქტურის და რომელიც არსებობდა პოსტკონსტრუქციის. მაგრამ დემოკრატიის გამარჯვებას აბ რთვობა შეუძლია მისხოს ის ორგანიული და ფიზიოლოგიური ბირობები, ჰქნილის რომ სელს უწყობენ თვისი შემოქმედების განვითარებაში, ან რთვობა შეიძლება მოვსებით აღამინის ის სულიერი თვისებანი, ჰქნილის რომ ჩანახათ განსაკუთრებულ. ბირობით დემოკრატიული წესწყობილების დროს სელოვანი თავისუფლად იძენს ცხოვრების სარბოს, რაც დიდ დროს მისცემს მის შემოქმედებისათვის. მართალია ჰქნილის ეფექტუალის მადლა სდგას თვის დროზე და ძვირად მოხდება, რომ თანამედროვე საზოგადოებამ შესიფერის და დაფასოს იგი, მართალია, სპირად მიიწიერა“ „სეციერს“ შეუ-

ფერებლად მოეპურება, მაგრამ ჰქნილის იგი „სეციერა“ ვითარდება უფრო ხალხში, ვიდრე ვიწრო წრეში და თვით ჰქნილის იგი ცხოვრებას იმ ტრადიციას, რომელიც მას ან ცნობდას და მიკლდის მათთვის ნაბიარად...

ცხადია მეტნიერული აღმოჩენანი უფრო ქპარა ვრცელდება ხალხში, ვიდრე რომელიც მხატვრული ნაწარმები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეტნიერებს შეეძლოს სელოვანების მოხმობა.

